სკოლის დასახელება	ქ.რუსთავის ივ.ჯავახიშვილის სახელობის #24 ქართული გიმნაზია
მასწავლებელი	ეკა ლორია
ნაწყვეტი წიგნიდან	ასტრიდ ლინგრენი _“ძმები ლომგულები“ (პირველი თავი)
სწავლების საფეხური/კლასი	საბაზო საფეხური, მე-7 კლასი
მისაღწევი შედეგები	**ქართ.საბ.2.** ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაანალიზება და სათანადო დასკვნების გამოტანა; **ქართ.საბ.5**. ტექსტის ინტერპრეტაცია პირად ან/და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ხედვის პერსპექტივის შეცვლით, დროსა თუ სივრცეში გადანაცვლებით); **ქართ.საბ.6.** ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი ტექსტების შედარება და მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებებზე; **ქართ.საბ.8.** სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს). **ქართ.საბ.9.** ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და გრამატიკის საკითხების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს); **ქართ.საბ.10.** სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის ფუნქციურად გამოყენება კონკრეტული მიზნით (ზეპირი ან/და წერითი მეტყველების დროს).

<table>
<tr><td>წინასწარი ცოდნა</td><td>1. წაკითხული აქვთ „ძმები ლომგულები“ (პირველი თავი); 2. ვუყურეთ ძმების დიალოგს(მონაკვეთს) ოლე ჰელბუმის ფილმიდან „ ძმები ლომგულები“. 3. მე-6 კლასში შევისწავლეთ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „შეშაზე“.</td></tr>
<tr><td>აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო)</td><td>აქტივობებისთვის საჭირო დრო ერთი კვირა.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1
სიუჟეტის განვითარების ეტაპები; გააგრძელე ამბავი და შექმენი პოსტერი.</td><td>
<table>
<tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი -მოცემული აქტივობების შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას; \შემოქმედებითი უნარ-ჩვევის განვითარებას.</td></tr>
</table>
ა)წაკითხული ინფორმაციის თავმოყრისთვის შევავსებთ სქემას - როგორ განვითარდა სიუჟეტი(რა ხდება დასაწყისში? რა ხდება შემდეგ? ბოლოს...) ბ)შენი აზრით , რა შეიძლება მოხდეს? ვინ გააგრძელებს თხრობას, როგორი იქნება ძმების თავგადასავალი, თუკი კარლი მართლაც „ნანგიალაში“ გადაცხორედება? გ) ეცადე შექმნა პოსტერი პირველი თავისა და შენი გაგრძელების მიხედვით, სადაც მთავარ სათქმელს გადმოიტან და დააინტერესებ, თუნდაც დააინტრიგებ მეგობრებს, რომ წაიკითხონ წიგნი. ნიმუშისთვის იხილე ქვემოთ მოცემული პოსტერები, რომლებიც ქართულ ფილმებზე შექმნეს. (ეს ფილმები ნანახი გვაქვს) დან.#1
</td></tr>
</table>

<table>
<tr>
<td>აქტივობა 2

ჯონათანის პირადი დღიური</td>
<td>
<table>
<tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი- მოსწავლეს განუვითაროს სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნის უნარი,განუვითაროს ენობრივი და წარმოსახვის, ემპათიის უნარი.</td></tr>
</table>
ამბავს პატარა ძმა, კარლი გვიამბობს, თავის განცდებსაც გვიზიარებს, თუმცა არაფერი ვიცით უფროსი ძმის შესახებ, რომელიც ერთი შეხედვით, ძალიან მშვიდად საუბრობს გარდაცვალებაზე, ანუგეშებს ძმას. წარმოიდგინე, რომ ჯონათანი ხარ და დღიურს აწარმოებ, რას ჩაწერდი იმ დღის შესახებ, როცა კარლმა სიმართლე გაიგო? მართლაც იმას ფიქრობს რასაც ამბობს თუ უბრალოდ ძმის სანუგეშებლად მოიფიქრა ნანგიალა? გადმოეცით მისი ემოცია, გრძნობები; დაიცავით დღიურის წერის სპეციფიკა.
</td>
</tr>
<tr>
<td>აქტივობა 3
დიალოგი სხვა მოთხრობის/წიგნის პერსონაჟთან</td>
<td>
<table>
<tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი -ენობრივი საშუალებებისა და ტექსტის სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტების ფუნქციურად გამოყენების უნარების განვითარება.</td></tr>
</table>
რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში „შეშაზე“ ორი ძმის ამბავია მოთხრობილი; ისინიც უმამოდ არიან დარჩენილნი, უფროსი ძმა ცდილობს დაიცვას და გაუფრთხილდეს პატარას; წარმოიდგინე, რომ ჭიჭო და ჯონათანი ერთმანეთს ხვდებიან, მათ ბევრი რამ აერთიანებთ, ჩაწერე დიალოგი ქართველ და შვედ ბიჭებს შორის, რას ერტყოდნენ ერთმანეთს, რას გაუზიარებდნენ, რა რჩევებს მისცემდნენ?
</td>
</tr>
</table>

როცა აუვალდა ნუმი
ლანა ღოღობერიძის ფილმი
© LEVAN PATSINASHVILI | DAVIT BABIASHVILI

დან. #1

ფესვები
ყარამან მგელაძის ფილმი